საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იაშვილი ირინე ლუარსაბის ასული



ი. იაშვილი

იაშვილი ირინე ლუარსაბის ასული (დ. 5. XI. 1942, თბილისი), მევიოლინე, პედაგოგი. საქართვ. დამს. არტისტი (1970). ლ. ს. იაშვილის შვილი და მოწაფე.

1959 დაამთავრა თბილ. „ნიჭიერთა ათწლედის" სავიოლინო განყ-ბა, 1964 – თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (ორივე ლ. იაშვილის ხელმძღვანელობით), შემდეგ – მოსკ. კონსერვატორიის ასპირანტურა (დ. ოისტრახის ხელმძღვანელობით). 1959–64 თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ორკესტრის ვიოლინოების ჯგუფის კონცერტმაისტერი იყო, 1966–73 – საქართვ. სახელმწ. კამერული ორკესტრის (ხელმძღვ. მ. ლ. იაშვილი და ი. პოლიტკოვსკი) სოლისტი, 1964–93 – თბილ. კონსერვატორიის პედაგოგი (1992-იდან პროფ.), 1994–2012 – ქ. ნოვი-სადში (იუგოსლავია, სერბეთი) ხელოვნების აკად. პროფესორი, 2012-იდან – ქ. ადანაში (თურქეთი) კონსერვატორიის პროფესორი. მუშაობს ქალიშვილთან, მ. დუგლაძესთან ერთად.

XX ს. 60-იანი წლებიდან საქართველოსა და უცხოეთში (ჰოლანდია, გერმანია) გამოდიოდა როგორც სოლო კონცერტებით, ასევე დებთან – მ. და ნ. იაშვილებთან ერთად.

ი-ის შემოქმედება გამოირჩევა მაღალი რანგის საშემსრულებლო ტექნიკით (სრულ-ყოფილი, დახვეწილი ბგერა, სტილის შეგრძნება).